№ 100 მაისი 15, კვირა 1888 მაისი 15, კვირა № 100

გაზეთი ღირს

თვეე	მან.	კ.	თვეე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	70
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაგზავნად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეშელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

ორშაბათს, 16 მაისს, წმ. მამა დავითის ეკკლესიაში, დილის 10 საათზედ, გარდახდილი იქნება ორმოცის წირვა მიცვალებულის პოლკოვნიკის დავით იაკობის ძის კოპაძის მოსახსენებლად. ქვრივი მარიამ სოლომონის ასული კოპაძისა სთხოვს განსვენებულის ნათესავთა და ნაცნობთ, მობრძანდნენ წირვაზე.

გარდაცვალებულს გენერალ-ლეიტენანტს თავად ლევან დავითის ძეს გურიელს გაასვენებენ ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში სამშაბათს, 17 მაისს, დილის 10 საათზე. აქ იქმნება შესრულებული წირვა განსვენებულის სულის მოსახსენებლად, აუგებენ ანდერძს და აქვე დაასაფლავებენ. ორშაბათს-კი, 16 მაისს, საღამოს 7 საათზედ, გარდახდილ იქმნება უკანასკნელი პანაშვიდი თვით განსვენებულის სადგომშივე.

სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსანი“
მეიროფას ყდაში,
გამოცემული
გ. დ. ქართველიშვილის მიერ,
ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთსაწყობში.

წიგნში 27 ზიჩისაგან დახატული სურათია, მრავალი განგებ ამ წიგნისათვის შეკვეთილი ჩუქურთმის მხატვრობა და სათაური ასოები, ამოჭრილი პეტერბურგში.

წიგნი დიდის ფორმატისაა და ღირს ტფილისში 15 მანათი.

ვისაც სურს ტფილისს გარეთ დაიბაროს, ფოსტისა და გასაგზავნი ხარჯი უნდა წარმოადგინოს კიდევ ერთი მანათი.

ამ წიგნზე ხელის-მომწერთ უნდა წარმოადგინონ კვიტანცია, იმათზედ დარჩენილი ფული და გასაგზავნი ხარჯიც ერთი მანეთი.

დაბარება შეიძლება ამ ადრესით:

Въ Тифлисъ. Канцелярія Общества Грамотности. Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, №№ 109 и 110. (5—1)

ტფილისის თეატრი
ოთხშაბათს, 18 მაისს,
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
პირველად:
ციმბირელი
კომედია 4 მოქმედ. ა. ცაგარლისა.

მოთამაშენი: ქქ. საფაროვა-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ლეონიძისა, ჩერქეზიშვილისა, თამაროვისა; ბბ. გ. ყიფიანი, აბაშიძე, თვითონ ავტორი პიესისა, კავთელი, ივ. ცაგარელი, მაქსიმიძე და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე.

ანტრაქტებში გაჩაღებული იქნება ბალი, სადაც დაუკრავს სამხედრო მუსიკა.

რადგან ამ თეატრში გალლერეა მცირეა, ადგილების ფასი სკამების უკანასკნელ რიგებში გაიაფებული იქნება.

ტფილისი, 14 მაისი

26-ს აპრილს გავთიხევის სასოფლო სკოლამ გადაიხადა თავისის არსებობის ათის წლის დღესასწაული; სკოლამ მოიგონა ათის წლის მოღვაწეობა. საზოგადოებამაც თვალი გადაავლო სკოლის ვითარებასა და ისტორიას და იმ დღეს სრულიად უნდა დარწმუნებულიყო, რომ სკოლა იმის ცხოვრებაში ლამპარია განათლებისა; რომ სკოლამ შესძინა სოფელს მცირე დროის განმავლობაში დიდ-ძალი მხნე და მცოდნე წევრი, რომელთაც შეუძლიანთ პირ-ნათლად გაუძლვნენ ჭირსა და ლხინსა. ათი წელიწადი მაინცა-და-მაინც დიდი არაფერია საზოგადოების ცხოვრებაში, მაგრამ დახედეთ რა მოუმოქმედნია სკოლას ამ მცირე დროის განმავლობაში, რა შეუქნია სოფლისათვის. დღითი დღე რომ თვალი ადევნოს კაცმა რომელსამე საქმეს, დიდს წარმატებას ვერას შენიშნავს, რადგანაც თითო დღე მეტად მცირე წვლილს უმატებს საქმეს და თვით წვლილი-კი დიდს შრომასა და მეცადინეობას მოითხოვს ხოლმე. მაგრამ როდესაც დიდს გზას გაივლით და გაიხსენებთ თვით გზასა და ყოველსავე, რაც შეგემთხვევიათ და თავს გადაგხდიათ, მაშინ-კი დარწმუნდებით, რომ ძნელად სავალელი და გძელი გზა შეგიმოკლებიათ, და შეგიძლიანთ დაათვალოთ, ასწონ-დასწონოთ და სიმართლის თვალით შეხედოთ თქვენს წარსულს. დღითი დღე კაცს არ შეუძლიან დიდი წარმატება შენიშნოს თავისს თავს ან რომელსამე საქმეს, მაგრამ როდესაც თვით კაცი ან საქმე მომწიფდება, მაშინ-კი უფრო უტყუარად შესაძლოა დავათვალოთ ერთისა და მეორის ავი და კარგი; შეგვიძლიანთ შესაფერად და სამართლიანად ასწონ-დასწონოთ საკუთარი ან სხვისი ვითარება მაშინ, როდესაც რამდენსამე წელიწადს ერთბაშად თვალს გარდაავლებთ. დრო უკეთესი და უფრო სამართლიანი მსაჯულია კაცთა მოქმედებისა და მოღვაწეობისა. აბა მოიგონეთ, მაგალითად, რომელიმე საზოგადო საქმე, რომელიც დიდის წვალებით და ვაებით ატარებს ამ წუთი-სოფელს. თუ დღე-დღე მიზდიეთ კვალში ამ საქმეს, ზოგჯერ სასოწარკვეთილება და უიმედობა შეგიპყრობთ; ამისათვის არავინ გასაკიცხი და საგინებელი არ არის, მაგრამ როცა იმ საქმეს ისტორიულად გადაავლებთ თვალსა, მაშინ-კი უფრო ადვილად წარმოიდგენთ ყოველს დაბრკოლებას, რომელიც თვით საქმეს შემთხვევია, უფრო რიგიანად და უტყუარად დააფასებთ თვით საქმის მნიშვნელობას, უფრო უტყუარად გაჰზომავთ გავლილს გზასა. დიაღ, დრო საუკეთესო და უფრო უტყუარი მსაჯულია ყოველისავე საქმისა, გარემოებისა.

ავიღოთ, მაგალითად, სოფლის სკოლა. რა არის სკოლა, ვინა და რა არის იმის ოსტატი? სოფლის სკოლა ხომ სრულიად მყუდრო და მშვიდი დაწესებულებაა, უმეტეს ნაწილად ხელ-მოკლე, რომლის უფროს-ერთი მოწამე სიღარიბესა და უმეცრებაში შობილია; ოსტატი ხომ სრულიად უცნობი და მუდმივ შრომაში გართული და თან ნივთიერად ხელ-მოკლე მუშაკია, რომელსაც კისრად ადევს მძიმე და რთული მოვალეობა. თუ ყველა იმ დაბრკოლებას გაიხსენებთ, რომელიც გზაზედ ეღობება ყოველს ახალს საქმეს, დაწესებულებას, აზრსა, თქვენ იმასაც ადვილად წარმოიდგენთ, რომ სასოფლო სკოლის და ოსტატის სავალელი გზა იათი და ვარდით მოფენილი არ არის. ამისდა მიუხედავად კეთილი საქმე, აზრი ბრძოლიდგან გამარჯვებული გამოდის, გზა უადვილდება და ყველანი, ვინც გულ-გრილად და ცუდის, ან იჭვნეულის თვალით შეჰყურებდნენ წინად, გზას უთმობენ და თვითონვე ხელს უწყობენ. ამ გვარივეა გავთიხევის სკოლის ვითარება და ისტორია. წინად მასწავლებელი თითქმის ერთად-ერთი მოსარჩლე იყო სწავლა-განათლებისა, ერთად-ერთი კაცი იყო, რომელსაც სხვებზე უფრო ნათლადა ჰქონდა წარმოდგენილი სწავლის სარგებლობა და მნიშვნელობა; თვით მასწავლებელი ეუბნება საზოგადოებას, რომ მე

ფელეტონი

ფიქრი და შენიშვნა გარეთ-უბნელისა.

დიდი ხანია, კარგა დიდი ხანია, რაც ჩემმა ავმა თუ კარგმა ბედმა ჩემს სამშობლოს მომაშორა და შორს გადამაძევა. რაც იმ შორეულს ქვეყნებში მინახავს, გამიგონია და თავს გადამხდია, ის შენთვის, ჩემო მკითხველო, ვგონებ არც საჭიროა და ჯერ არც საღიარებელია. ეხლა-კი სჯობს გიამბო მხოლოდ ჩემი შთაბეჭდილება, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ ჩემზედ მოახდინა, და ჩემი გულითადი აზრი და გრძნობა განგიზიარო. ვინ იცის, იქნება შენ, თუ გინდ მუდამ სამშობლოს ცას ქვეშ მყოფი, მუდამ აქ ფეხ-მოუცვლელად მცხოვრები, იმავე აზრისა ხარ ჩვენის მამულის აწმყოზედ, როგორისაც მე; მაშინ, მენდე, ჩემის აზრისა და გრძნობის განზიარება ცოტაოდენს მალამოს მაინც მოსცხებს მაგ შენს ნაღვლიანს გულს, არ დარჩები სამუდამოდ გულ-ნაკლული, უიმედო და ზოგსავით აღარ იტყვი:

კაცი არ არის, რომ ფიქრი ვანდო,
გრძნობა ჩემი განვუზიარო.

კარგი დრო იყო ის დრო, როცა მე ჩვენი სამშობლო დავტოვე და კარგი თაობაც მეფობდა მაშინ ჩვენში, სხვაფრივ თუ არა, აზრით მაინც. ეს იმ თაობის ხალხი გახლდა, რომელსაც იმისი წინაპარი თაობა თერგ-დალეულებს უწოდებდა. სიტყვა „თერგ-დალეული“ არ იყო არც სასაცილოდ, არც ცუდა-მადად სახმარებელი სახელი. იმას ჰქონდა სრულიად განსაკუთრებითი მნიშვნელობა და არც ყოველს ქართველს, რუსეთში ნამყოფს, თერგ-დალეულობას სწამებდნენ. ღირსი ამ სახელისა იყო მხოლოდ ის, ვისის აზრის მიმართულებასაც დაეჩნეოდა ნამდვილ გავლენის ბეჭედი ერთ გვარ რუსეთის განათლებულის საზოგადოების მოძრაობისა. თერგ-დალეულები დაბრუნდნენ თავის სამშობლოს წმინდის სიყვარულით სავსე გულითა, უმანკო სინიდისით და მხურვალე წადილით, გაევრცელებინათ ჩვენს ბნელს ქვეყანაში ის ღრმა და პატიოსანი აზრები, რომელნიც შეადგენდნენ უხვს ნაყოფს რუსეთის განათლებულის საზოგადოების ჭკუისას. მე მახსოვს ის საშინელი ომი, რომელიც თერგ-დალეულებმა ასტეხეს ხალხსა და საზოგადოებაში და თვით თავიანთს მამა-პაპის ოჯახში. მართალია, იმათ არა ჰქონდათ რაიმე შესანიშნავი გავლენა ხალხზე, მაგრამ იმას-კი დავესწარ, რომ, შემდგომ საშინელის ბრძოლისა მამათა და შვილთა შუა, თერგ-დალეული ომიდამ გამარჯვებული გამოვიდა. ჩვენ, მაშინ ჯერ კიდევ ყრმებმა, ზურგი მივუბრუნეთ ჩვენს კულავ საყვარელს დედ-მამას და ვგრძნობდით, აშკარად ვგრძნობდით, რომ სულითა და გულით თერგ-დალეულს ვეკუთვნოდით და რაც შეგვეძლო, ყოველისფერში იმათ ვბაძავდით. მამის სახელი ჰბადავდა ჩვენს ყმაწვილს გონებაში სიბნელეს, სიცრუეს და ფარისევლობას და „თერგ-დალეული“-კი—განათლებას, სიმართლეს და პირ-უთვნელობას. სადაც-კი თერგ-დალეულმა თავის სიცოცხლეში ფეხი გადასდგა, ყველგან და ყოველს საქმეს დაასვა თავის პატიოსნების ბეჭედი. იმისი ძმობის, ამხანაგობის და მეგობრობის ღრმა გრძნობა, იმისი შეუსყიდველი სინიდისი საზოგადო და სახელმწიფო სამსახურის ასპარეზზედ თვით მტრებისაგანაც-კი თითით საჩვენებელია; თუ მოკვდა, სახსოვრად დასტოვა უმანკო და პატიოსანი სახელი. რა იყო მიზეზი თერგ-დალეულების ამ გვარის გავლენისა, იმათის გამარჯვებისა? ყველამ ვიცით, რომ იმათში არ მოიპოვებოდა არც ძალიან დიდის, უზარმაზარ ჭკუის პატრონი, არც მეტის-მეტად განათლებული კაცი; იყვნენ, რიგი, შუათანა ჭკუისა და ხასიათისა. მაგრამ ძლიერნი და გამარჯვებულნი იმიტომ გამოდგნენ, რომიმ დროის ნათელი აზრები მართლა შეითვისეს და განიხორციელეს. ძველმა მამის ოჯახმა-კი, თუმცა დამარცხებულმა, ვერ შეითვისა თერგ-დალეულის ვერც ჩაცმა-დახურვა, ვერც სმა-ჭამა, ვერც ზნე-ხასიათი და ვერც იმისი ღრმა, ბრწყინვალე და განმანათლებელი აზრი; სჩანდა, სამუდამოდ გაწყდა ძველი ქართული მამა-შვილური კავშირი და იმის მაგიერ დაარსდა მხოლოდ მოაზრეთა ძმათა ვიწრო წრე, რომელმაც ჩვენ გონება გაგვიხსნა, ჭკუა და ზნე გაგვიწმინდა, გაგვიფაქიზა და ხასიათი გაგვიმტკიცა. ჩვენც ჩვენის მხრით ვსცდილობდით ახლოს არ მივკარებოდით ჩვენის ოჯახის ძველს რჯულს, ადათს და მოუთმენლად მივიზიდებოდით იქ, სადაც, გვეგონა, ჩვენის ჯიელ ჭკუა-გონების წყურვილს მოვიკლავდით. დიაღ, დიდის იმედით დავტოვეთ თერგ-დალეულები; იმათ ეგონათ, სწამდათ და ჰქონდათ კიდეც ამის საბუთი, რომ რაც-კი რამ მამა-პაპური ნაკლულევანება იმათ კიდევ დარჩათ, ჩვენ ოდესმე მოვსპობდით და საზოგადო საქმეს მათზედ უფრო კარგად წავიყვანდით; მერმისისაგან ისინი ყოველთვის აწმყოზედ უკეთესს მოითხოვდნენ და ამიტომაც სჯეროდათ, რომ ჩვენ ყოვლის მხრით მათ ვემჯობინებოდით.

მას აქეთ დიდმა ხანმა გასტანა და აი, ეხლა მე, როგორც შემთხვევითი მგზავრი, განცვიფრებით ვუყურებ ადრინდელს თერგ-დალეულებს და იმათს ნაყოფს—ამ ჟამის ახალ თაობას*). ვეღარ ვპოვე თერგ-დალეულში ადრინდელი ნათელი დედა-აზრი თითქოს გაჰქრობია მას სიყვარულის, სიმართლის, განათლების სურვილი და დადის უაზრო, გულ-ხელ დაკრეფილი; არც თითონ იცის, რა სწადიან, რის მაქნისია. მაგრამ, რა დავაკვირდი, ვსცანი იმის ნაღვლიანს სახეზედ, რომ გულში მაინც კიდევ ადრინდელი გაძლიერებული ცეცხლის ნაკვერჩხალი უღვივის; იმისი ნათელი, დინჯი, ტკბილი და დალაგებული ლაპარაკი ყოველს ჩვენის ქვეყნის დარდსა და ვარამზედ ამტკიცებს, რომ არ შეუძლიან იქონიოს არავითარი კავშირი თანამედროვე ფაცა-ფუცა ახალს თაობასთან. ვგონებ, კიდეც ამ გარემოებამ ჩააჩუმა და დაალონა უწინ ფხიზელი და მებრძოლი თერგ-დალეული. მართლაც-და რა უნდა მოსთხოვოს კაცმა თერგ-დალეულს, როდესაც ახალმა თაობამ შესაფერად მხარი ვერ მისცა; მხრის მიცემა მოითხოვდა დროთა შესაფერს სწავლა-განათლებას, ხასიათს, პატიოსნებას, გამბედაობას, ჭკვიანს ლაპარაკსა და წერას, მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენმა ახალმა თაობამ ვერაფერში შნო ვერ გამოიჩინა; მან დაანება თავი აზრს და გამოუდგა მხოლოდ პაწაწკინა საქმეებს და ამიტომაც ყოველი იმისი საქმე ჰგავს უსულო გვამსა. აბა, რა ჩაუდგავს სულს, რა მისცემს ხანგრძლივს სიცოცხლეს თუ გინდ იმისთანა დიად ძალიან საჭირო ცალკე საქმეებს, როგორც სკოლაა, გაზეთი, თეატრი, ბიბლიოთეკა და სხვა-და-სხვა, როდესაც თვით საქმის მწარმოებელს არა აქვს არავითარი საზოგადო დედა-აზრი!

მართლაც, ძალიან საცოდავი და გულ-საკლავი სანახავია ჩვენი ახალი თაობა. რაღაც საოცარი შთაბეჭდილება გამოაქვს კაცს იმათ ბაასისა და სჯისაგან ჩვენის ცხოვრების სხვა-და-სხვა საგანზედ. ჯერ მარტო მათი შეხედულობა გიკლავს გულს: იმათ სახეზედ არ არის გამოხატული არც ძმობის, ამხანაგობის და მეგობრობის გრძნობა, არც საზოგადო საქმისადმი გულ-მხურვალება; გულ-გრილობა და გულ-ქვაობა იმათის შუბლის ბეჭედია. უმეტესი მათგანი მუნჯებს ემგზავსება, თითქოს პირში ბურთი ჩაუჩრიათ და ამიტომ ხმას ეღარ იღებენო; თუ ყბას გააღებენ, ან ერთს საშინლად დაამთქნარებენ, გვგონება ეს-ეს არის ჩამყლაპავსო, ან არა და გააბამს ერთს სატანჯავს ბლიაძურს ლაპარაკს, რომლისაგანაც ვერც ჭკუისა და ვერც გულის

---

*) ახალს თაობას ვუწოდებ იმ საზოგადოებას, რომელიც თერგ-დალეულების შემდეგ ჩვენს სამშობლოში დაიბადა და დღევანდლამდე განათლებულის საზოგადოების ალაგი უჭირავს ჩვენში.

თავადა პირველად მარტო ვიყავით, არც მეგობარი და არც თანამგრძნობი არა მყავდათ, მაგრამ დღეს-კი დარწმუნებული ვარ ვუყვარვარ ჩემს შეგირდებს და არის ისეთი საზოგადოება, რომელიც მუდამ მზად არის ხელი მომიმართოს და წამახალისოს. დიახ, სრულიად მართალსა ბრძანებს ბ-ნი მასწავლებელი. თუ თავადა პირველადვე ერთი-სამიოდე კაცი თანაუგრძნობდა სკოლას, სამაგიეროდ ეხლა-კი სამასზე მეტი შეგირდი მშობლებითა და ნათესავებითურთ სწავლა-განათლების თანამგრძნობელია და ხელის შემწყობელი. დღეის იქით სოფლის საზოგადოებას კიდევ უფრო გაუმტკიცდა ის აზრი, რომ სკოლა ადამიანთა ცხოვრების გზის მანათობელია. კავთისხევის შეგირდებს გზა გაუკვლავთ ზოგს სხვა სასწავლებლებისაკენ, ზოგი ხელოსნობას მოჰკიდებია, ზოგი სამსახურში შესულა, ზოგი მამა-პაპის საქმეს დასდგომია, ერთის სიტყვით, ვისაც სკოლაში უსწავლია, ცხოვრების სარბიელზე ადგილი დაუმკვიდრებია და ასე თუ ისე ეწევა თავისს უღელს. ეხლა წარმოიდგინეთ, რომ მთელს საზოგადოებას შეემატა სამასის უმეცარის წევრის მაგიერ ამდენივე ცოტათი მაინც ნასწავლი წევრი, რომლებიც ცხოვრებაში შეიტანენ თავთავიანთს წვლილს სინათლისას. გაიხსენიეთ, რომ სკოლის შეგირდებს მცირედი მაინც გაგება აქვსთ სამშობლო ქვეყნის ვითარებისა და აწმყოსი; რომ ისინი სტკბებიან არა რომლისამე პირუტყვულის სიამოვნებითა და გრძნობითა, არამედ მწერლობის ნაწარმოებითა და თანაუგრძნობენ ყოველს კეთილს საქმეს, და თქვენ ნათლად წარმოიდგენთ, თუ რის შემძლეა მყუდრო სასოფლო სკოლა და იმისი ოსტატი, რომელსაც სოფლის მასწავლებლობა არც სიმდიდრეს უქადის და არც დიდ-კაცობას. აი, ეს არის იმის მიზეზი, რომ მთელი კავთისხევის საზოგადოება ეგეთის კეთილის გრძნობით მოეპყრა საკუთარს სკოლას და იდღესასწაულა იმისი დაარსების დღე; ეს არის იმის მიზეზი, რომ საზოგადოებამ მოისურვა, იმავე სასწავლებლის შეგირდის თაოსნობით, სასოფლო ბიბლიოთეკის გამართვა და ამ საგნისათვის არ დაიშურა შესაწირავი, და აი რა რიგად მატულობს და იზრდება კეთილი აზრი და საქმე, რა რიგად მატულობს რიცხვი კეთილის საქმის მოსარჩლეთა და მომხრეთა.

კავთისხევის სკოლა ხომ იგეთივე სკოლაა, როგორიც სხვა სოფლებშიაც მოიპოვება; ბედს იმისთვის არავითარი უპირატესობა არ მიუნიჭებია და ამიტომაც ამ სკოლის მაგალითი, იმედია, გულში ჩაეჭდევა სხვა სკოლების მოღვაწეთაც, რომლებსაც საბუთი ეძლევათ ჩაუკვირდნენ თავიანთს წარსულს და ასწორ-დასწორონ იგი.

◆

ახალი ამბავი

⁂ 12-ს ამ თვისას, ოთხშაბათს, სასამართლოს უნდა განეხილა საქმე ობოლთა სამზრუნველო თავ-მჯდომარის, ბ-ნ ნიკოლოოზ შანშიევისა, რომელსაც ჰბრალდება სამზრუნველოს ფულების გაფლანგვა. დანიშნულს დღეს შანშიევი ვერ გამოცხადდა, რადგანაც, როგორც სატუსაღოს ზედამხედველმა აცნობა სასამართლოს, ბრალდებული ავად იყო. პროკურორმა განკარგულება მოახდინა დაუყოვნებლივ შეემოწმებინათ ზედამხედველის მოხსენება და საქმე გადაიდო მეორე დღისათვის. ეხლა, როგორც სწერენ, აღმოჩენილა, რომ შანშიევი და ავად ყოფილა ძალიან არას გზით არ შეეძლო თურმე სასამართლოში გამოცხადებულიყო.

⁂ მუშტაიდს ზემოდ, დიდუბეში, სადაც ლორთქიფანიძის ტრამვაია, აღმოსავლეთისაკენ, წვიმას ჩაუხრამავს ერთს ადგილას. მისულან, უნახავთ ეს ჩახრამული ალაგი, და წარმოიდგინეთ მნახველების გაკვირვება, როცა აღმოჩენილა, რომ ამ ალაგას ხვრელები ყოფილა. ჩასულა ხალხი ფანრებითა, უვლია ხვრელში, რომლიდამაც კიდევ სხვა ხვრელები მიდიოდა აქეთ-იქით გვირაბივითაო, და გასულა ერთს დიდს ოთახში. ეს ოთახი კარგა მოზრდილია, თაღი აგურითა აქვს ამოყვანილი და იატაკიც აგურით არის მოკირწყლულიო. ყველას უკვირს თურმე, რა ხვრელი და სენაკები უნდა იყოს ამ ადგილასაო. გაზეთი „კავკაზი“ ამბობს, რომ ეს ხვრელები, ეტყობა, მთელის ქალაქისაკენ მიდის და, უთუოდ, ყველგანა აქვს გასავალიო. ამ ჟამად ხვრელში ჩასავალს პოლიცია ჰყარაულობს და ნებას არავის აძლევს იქ ჩასვლისასა.

⁂ სოფ. ლანირი (ქუთ. მაზრა): ლანირის საზოგადოებას შეადგენენ ქუტირი, პატარა ჯიხაიში და თვით ლანირი. ამ საზოგადოებაში მცხოვრებთა რიცხვი რვაას კომლზე მეტია. ამათ შორის მცირედი ნაწილი თავადაზნაურობაა. დიდი ხანია, რაც სკოლის დაარსებაზე დაიწყო ლაპარაკი ამ საზოგადოებამ, მაგრამ ჯერ-ჯერობით მაინც ვერ შეუსრულებია თავისი წადილი. სოფ. ქუტირი ყოველს ღონის-ძიებასა ხმარობს, რომ სკოლა გამართოს, მაგრამ ვერ შეიძლო, რადგანაც იგი ღარიბია და შეიცავს 250 მცხოვრებს. ბოლოს აღმოჩნდა ამ სოფელში იმისთანა კაცი, სახელდობრ ბ-ნი რუხაძე, რომელმაც გამოუცხადა ხალხს: „თქვენ ოღონდ სკოლა დაარსეთ და სანამ სკოლის სადგომს სახლს ააშენებდეთ, მე დაგითმობთ უსასყიდლოდ, ერთის წლის ვადით, ჩემს საკუთარს სახლსაო“. ხალხმა მიიღო რუხაძის წინადადება, შეადგინეს ოქმი და წარადგინეს, სადაც ჯერ იყო. მთავრობა თანხმა გაუხდა და დანიშნა მასწავლებელი, რომელიც კიდეც ჩამოვიდა ლანირში, მაგრამ ხუთიოდე თთვე მაინც გავიდა მას აქეთ და ბავშვები-კი ჯერ არავის მიუბარებია სასწავლებელში. ამის მიზეზი შემდეგი გახლავსთ: ქუტირლებს ეგონათ, ლანირი და აგრეთვე პატარა ჯიხაიშიც სკოლის დაარსებაში მონაწილეობას მიიღებდნენ და დაეხმარებოდნენ, მაგრამ ეს სოფლები ქუტირს განზე გაუდგნენ და სულ სხვა ნაირად დატრიალდა საქმე. თუ არ ეს უთანხმოება, ლანირის საზოგადოებას ადვილად შეუძლიან სკოლა გაჰმართოს ქუტირის საზღვარზედ, სადაც, დიდი ხანია, სკოლისათვის მიჩენილია ადგილი, რომლის ახლოს საერთო კანცელარიაცა სდგას. ამბობენ, თითო სოფელმა საკუთარი სკოლა გაჰმართოსო. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ვინ იცის, ამის წადილს როდის შევასრულებთ და მზა-მზარეული საქმე-კი ჩავშალეთ. სანამ საკუთარს სკოლებს გავმართავდეთ, რამდენიმე წელიწადი გაირბენს, და განა ღმერთი გვიწყენდა, ჯერ-ჯერობით ერთი სკოლა რომ გვქონოდა? დროებით სადგომიცა გვაქვს სკოლისათვის და მასწავლებელიც ხომ განწესებულია.

⁂ ზემო-ქართლი: ამ ორს კვირაში ზემო-ქართლში მოხდა ერთი შემაძრწუნებელი ამბავი: ცერონისის მამასახლისს არსენაძეს ჰქონია ნათლობა, რომელზედაც მიწვეული ჰყოლია როგორც გლეხები, აგრეთვე თავადები. სხვათა შორის ნათლობაში ყოფილა თ. სოსო ფალავანდიშვილი. როდესაც სტუმრები დაშლილან, მხარეულები და თავმდგომარეები ბოსელში შესულან და იქ დამსხდარან პურის საჭმელად. კარგად რომ გადაჰკრეს თურმე და ზოგი კიდეც წავიდ-წამოვიდა სახლებში, აი ამ დროს შემოდის ბოსელში კარგად შეზარხოშებული ს. ფალავანდიშვილი და დაუწყებს ლაპარაკს ერთს თავ-მდგომარეთაგანს, გ. ჰქინაძეს: რომ შეგაგინო, ხომ არ გეწყინებაო. რადა, რად უნდა შემაგინო უდანაშაულოდაო, — ეუბნება ჰქინაძე. ფალავანდიშვილი დაუწყებს გინებას. ჰქინაძეც გინებითვე უპასუხებს. როგორ თუ შენ გინება შემომბედეო, ფალავანდიშვილი იძრობს ხანჯალს და დასცემს. საბრალო ჰქინაძე ძირს ეცემა და უცებ სულს განუტევებს.

ამ ამბავმა მთელი სოფელი დიდს მწუხარებას მისცა, რადგანაც ამისთანა მშრომელი, თავ-დაბალი, გულკეთილი და ყოველ გვარის პატიოსნებით სავსე გლეხ-კაცი მთელს ცერონისში არ მოიპოვებოდა.

მოსახვედრსა და სასარგებლოს ვერას გამოიტანს. თუ უცხო ენაზედ დაიწყო ლაპარაკი, უნდა იცოდე, რომ უეჭველად ქართულად გაათავებს, რადგანაც, როგორც ბაქია, გულ-ამაყმა ქართველმა, ჯერ მაღლა ფარდებში უნდა ასწიოს თავისი პაწაწკინა აზრი და მაღლა ფარდებისათვის ხომ უცხო ენის ხმარებას არის დაჩვეული; მერე, რაკი ლექით ლაპარაკში ყბას მოიღლის, დაბლა ფარდებში ჩამოეშვება და მაშინ აუცილებლად ქართულს ენას წამოავლებს ხელს, რადგანაც ამ უბედურს ქართული ენა უფრო მდაბიო და სამასხარო ენად მიაჩნია; რასაკვირველია, ეს მხოლოდ გულში მიაჩნია, თორემ სიტყვით-კი ყველგან ჰყვირის, რომ ქართულისთანა ტკბილი, ყურისათვის სასიამოვნო, მდიდარი და ყოვლად შემკობილი ენა მთელს ხმელეთზედ არც დაბადებულა და არც დაიბადებაო. იქნება გეგონოთ, მკითხველო, რომ იგი უცხო ენის კარგი მცოდნეა? მე არ მოგიკვდე! ამტვრევს რაღა საშინელის გამოთქმითა და კილოთი; იმისთვის მთელის უცხო ენის სიმდიდრე ხუთასიოდე სიტყვა შეადგენს და ამ სიტყვებს ხმარობს, როგორც თავისი ულოდინარი ქვა უჭრის; იმის ლაპარაკში უცხო ენა ჰკარგავს თავის სიმდიდრეს, ხალხის ჭკუას, ხასიათს და გამოდის რაღაც უშნო, ულაზათო და უმარილო ენა. მერე, თუ როდისმე შედარებით ქართულს ენაზედ სთქვი რამე, აგიხირდება, ჩვენს ენას მეტი შნო აქვსო. წადი და წინააღმდეგი დაუმტკიცე.

ღვთის წინაშე, სირცხვილია ჩვენის ახალ თაობისათვის, რომ ხუთ-ექვსის წლიწადს შიგ რუსეთის შუა-გულში სცხოვრობენ და ისე უვარგისად ატარებენ თავის წუთი-სოფელს, რომ ეს ჩვენთვის საჭირო და აუცილებელი ენაც ფარსაგად ვერ შეუსწავლიათ. საფრანგეთსა და გერმანიაში ნამყოფიც ბევრი მოიპოვება ჩვენს ახალგაზდობაში, მაგრამ ამათ ფრანგული და გერმანული ენები ხომ რუსულზე უარესად იციან. ეგ არის-და! როდესაც მთელს ახალს თაობას აზრი არა აქვს, გინდ პეტერბურგში გაგზავნე, გინდ პარიჟსა და გინდ ბერლინში, ვერსაიდამ ვერაფერს სარგებლობას ვერ გამოიტანს. არა, თუ რუსულმა ჭკუამ, ზნეობამ, მწერლობამ და მთელის რუსეთის ტვინის მოძრაობამ ჩვენის ახალის თაობისათვის უნაყოფოდ ჩაიარა, რა გავლენა შეუძლიან მოახდინოს იმაზედ პარიჟისა და ბერლინის ცხოვრებამ, რომელსაც არავითარი პირდაპირი კავშირი არა აქვს ჩვენის ხალხის ცხოვრებასთან? ის არის უპირატესი და აუცილებლად შესაძენი, რასაც შენზედ და შენის ქვეყნის ცხოვრებაზედ მუდმივი გავლენა აქვს, რაზედაც არის დამოკიდებული შენი ბედი და უბედობა. აქ უნდა მოვიხსენიოთ, რომ მიზეზი ჩვენის უთავ-ბოლო ხეტიალობისა ის არის, რომ ჩვენი ახალი თაობა უაზროა, უსაგნოა და ამიტომაც ნამდვილად არ იცის, რას უნდა დაებღაუჭოს ხელით, ფეხით, სულითა და ხორცით. ერთის სიტყვით, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მთელის რუსეთისა და ჩვენის ქვეყნის ცხოვრება და აწმყო პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა ერთისა და იმავე მაკრატლით არის გამოჭრილი...

ილაჯს გაიწყვეტ, გაიგალები და მთელი დღე და ღამე რომ ელაპარაკო ჩვენს ახალს თაობას, ვერ გაიგებ, რა სწადიან, რა ჰსურს და რა საგანი აქვს ცხოვრებაში. ლაპარაკობს ბალღივით აბდა-უბდას: სკოლიდამ გადახტება თეატრზედ, თეატრიდამ გაზეთზედ, გაზეთიდამ ბანკის საქმეზედ, ბანკიდამ ქართულს თავად-აზნაურობაზედ, აქედამ ხვნასა და თესვაზედ, ძროხასა და ცხვარზედ და ღორზედ; სიტყვით თუ საქმით, მსწრაფლად დაარსებს ჟურნალ-გაზეთს, ააშენებს სახლებს, გაამრავლებს ძროხასა და ღორს, მაგრამ რა ეშმაკად უნდა ყოველი ესე სულიერი და უსულო, ეს მარტო ღმერთმა იცის. ყველამ ვიცით, რომ ვენახი ღვინის მოსაყვანად შენდება, ძროხა და ღორი შინ საკლავად და გასასყიდლად ინახება, მაგრამ ჩვენს ახალს თაობას დაუნიჟებია, რომ ვენახსა და ღორს სხვა უმაღლესი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ყოფა-ცხოვრებისათვის, ჩვენის ქვეყნის კეთილდღეობისათვისაო! რა ვიცი, იქნება ამ პირუტყვსაც რაიმე დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგრამ მაინც კიდევ, მერწმუნეთ, ეროვნობასთან ღორებსა და ცხვრებს ადგილი არა აქვსთ?

ჩვენი ახალი თაობა ყველას სოფელში ერეკება: იქ წადით, იქ, იქ არის ჩვენი იმედიო. იმათა სწამთ და ესეც ჰქადაგობენ, რომ მამულიშვილისათვის, მამულის მუდამ მზრუნველისათვის, ერთის სიტყვით, იმისთვის, ვისაც თავი შეუწირავს მშობელ ქვეყნის კეთილდღეობისათვის, ორიოდე დღიური მიწა საკმაოა, რომ მასზედ ხნას, სთესოს, თოხნოს და თავისის ჯანით და ოფლით დღე-დღეური ლუკმა იშოვნოს და ამ გვარად თავი გამოიკვებოს. კეთილი და პატიოსანი, ამას წინ რა დაუდგება! მაგრამ სატირელი ის არის, რომ ჩვენის ახალის თაობისათვის მთელის რუსეთის შესანიშნავ აზრის მოძრაობას სულ ფუჭად ჩაუვლია და ამ შესანიშნავ ისტორიულ მაგალითიდამ ვერაფერი სარგებლობა ვერ გამოუტანია... ეხლა ყოველს პატიოსანსა და განათლებულს რუსს ესმის, რომ რუსეთის ავი და კარგი, მთელი იმისი მერმისი დამყარებულია იმის დაწინაურებულს საზოგადოებაზედ, რომელსაც თავისი სული და ხორცი შეწირული აქვს და კიდევაც შესწირავს თავის სამშობლოს მრავალ კეც კეთილდღეობისათვის. მდაბიო ხალხსაც, რასაკვირველია, შესაფერი მნიშვნელობა აქვს ყოველ განათლებულ საზოგადოების წინ-სვლაში, ისეთი, როგორც ხვნასა და თესვაში მიწას: დასთეს რასმე — სანატრელი მოსავალი მოგივა, თუ არა-და — იმას უნდა დასჯერდე, რასაც დედამიწის ბუნება ამოხეთქავს, თუ გინდ შამბნარი იყოს. ჯერ ასეა, და რა მნიშვნელობა ექნება მდაბიო ხალხს საკუთაროდ, ეგ ხომ ერთმა ღმერთმა იცის. ამინდსაც აქ დიდი მნიშვნელობა აქვს და რაც უმეტესს თავ-განწირულობას გამოიჩენს დაწინაურებული საზოგადოება თავისის წყურვილის მისაღწევად, იმოდენად უფრო კარგი ამინდი დაუდგება ყოველს ხალხის ნაყოფს.

დიაღ, იმას მოგახსენებდი, მკითხველო, რომ მაშინ, როდესაც რუსეთის ახალგაზდობას ჭკუისა და გონების გამხსნელი, ზნეობისა და ხასიათის გამაფაქიზებელი აზრი მიჰქონდა მდაბიო ხალხთან, ჩვენი ახალი თაობა მიიზიდების სოფლისაკენ სრულებით უაზროდ და ჰგონია, რომ მარტო ღორებისა და ცხვრების ფარების პროექტებით თავის ქვეყანას ბედის კარს გაუღებს. მაშ აბა, რას შეჰმატებს სოფელს ჩვენი ახალი თაობა და ან თვითონ იმისგან რას შეიმატებს? არაფერს, შეიმატებს-კი არა, ბევრსაც დაჰკარგავს: ცოტა განათლებულის კაცის მგზავსი მაინც არის და სოფელში რომ დატრიალდება, მაშინ ყოველი მგზავსებაც დაეკარგება. განა რა დაუშლის? შენი ჭირიმე, იმისი დიდის ჭკუისა და ზნეობის მოთხოვნილება სოფლის ყოფა-ცხოვრებას ვერ აიტანს და იმასთან ვერ მოთავსდება! ისე ჩაითრევს და შეიწოვს სოფლის ცხოვრება ჩვენს ახალს თაობას, რომ გეგონებათ, აქ დაბადებულა და აქ გაზრდილაო. ვისაც ჩემის აზრის დასამტკიცებელი საბუთი ჰსურს, გარეშემო მიიხედ-მოიხედოს და თუ თვალხილულია, ჩვენს ცხოვრებაში მრავალს მაგალითსა ჰპოვებს. ეხლაც გვყავან ბევრი სამშობლოს დედაბოძნი, რომელთაც ვენახებიც ბევრი აქვსთ, ტყე და მინდორიც, ცხვრის ფარაც და ღორიც ბლომად, ჭკუის სასწავლებლად ზღვა და ხმელეთიც მოუვლიათ, მაგრამ ღოთობისა და პირუტყვის ცხოვრების მეტს სოფელში არას აკეთებენ; ჰლევენ თავის სამარცხვინო წუთი-სოფელს მხოლოდ კახურის ღვინის სმაში.

მე ვგრძნობ და ამიტომაც მეშინიან, ვწუხვარ, რომ მომავალი ახალი თაობა ჭკუითა და გრძნობით სულ უნაყოფო იქნება, რადგანაც იმისი აღმზრდელი ახალი თაობა თავის ჭკუისა და ზნეობითას ცხოვრებით იგივე

ეროვნული ბიბლიოთეკა

⁂ **ქართლი:** მარტის ნასესხებმა აპრილი დაუიდარაბით გაატარა; ეს მეორე კვირაა და მაინც არ გვეშვება: სულ ერთავად სწვიმს და ცივა, სარწყავებში ყანები გაბალახდა და სიცივეების გამო ტანი ვერ შეჰყარა; ურწყავებში-კი დიდის მოსავლის იმედი აქვსთ. ურწყავს სიცივისა არ ეშინიან, რადგან ერთობ ფიცხი ადგილია. თუ მალე არ დაუთბა, ახალს თესლებსა და საზოგადოდ სარწყავს მამულებს ძალიან გაუჭირდება.

⁂ **ცხინვალი:** ჩვენ შევიტყეთ, რომ ჩვენს დაბაში ამ ახლო ხანში ფოსტაც გაიმართება. ტელეგრაფი კარგა ხანია გვეღირსა, მაგრამ ფოსტას-კი ჯერაც შევცქერივართ. ფოსტის გამართვა მით უფრო სასიამოვნოა, რომ პატარა ლიახვზე ხიდი გვეღირსება და ცხინვალის ხიდიც, რომელსაც ფანფალი გაუდის და დღეს თუ ხვალ ჩაწვება, გაიმართება. ფოსტა კვირაში ორჯელ ივლისო.

⁂ **კავკავი:** აპრილის 24 ს, აღდგომა დღეს, სოფ. ბესლანში ორი ოსი, ბიბოევი და ყუდაგოვი, შეაკვდნენ ერთმანეთს. საქმე ამ რიგად მოხდა: ამ ორის წლის წინად ბიბოევს და ყუდაგოვს ჩხუბი მოსვლიათ და ბიბოევს ყუდაგოვი ხანჯლით დაუჭრია. წელს, ხსენებულს დღეს, ყუდაგოვი, რომელსაც ბიბოევის ჯავრი გულში ჩარჩენია, ჩაესაფრა ორის ამხანაგითურთ გზაზე, სადაც ბიბოევს უნდა გამოევლო. აგერ გამოჩნდა ბიბოევი და გაუარა ჩასაფრებულებს. ამ დროს გამოხტა ყუდაგოვიც და შემოსძახა: დადექ, ვერ წამიხვალო. ბიბოევმაც უცბად უკან მოიხედა, გაიძრო ხანჯალი და უპასუხა:

— მე ხომ დამბაჩით ნასროლი არა მმართებს შენი; ჯერ შენ მესროლე.

ყუდაგოვმა გაისროლა დამბაჩა და ბიბოევს მარჯვენა მკლავი მიამტვრია. ბიბოევმაც დააცემინა დამბაჩა, მაგრამ არ გაუვარდა. ყუდაგოვმა პირი იბრუნა და გაიქცა. მკლავ-მოტეხილმა ბიბოევმა მიაძახა: სად გარბიხარ; თუ თავზე ლეჩაქი არა გხურავს, დადექ და დამხვდიო. ყუდაგოვი შესდგა, ბიბოევიც წამოეწია და დასცა ხანჯალი ყუდაგოვს შიგ ზურგში. ამ დროს ყუდაგოვს მოეშველნენ ამხანაგები, რომლებმაც ხანჯლები დაუშინეს ბიბოევს. ბიბოევი მეორე დღეს გარდაიცვალა და ყუდაგოვი—მესამე დღეს. ყუდაგოვის ამხანაგები ორივე დაჭრილები არიან.

◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. ატოცი (გორის მაზრა), 6 მაისი. ამ ორის დღის წინად ატოცში, ერთის ალალ მუშაკის სახლობაში, დატრიალდა საზარელი და გლეხის ყოფა-ცხოვრებაში ფრიად იშვიათი საცოდაობა, რომელმაც აალელვა და ააშფოთა ყველა, ვინც-კი ყური მოჰკრა ამ ამბავსა. ეს გლეხ-კაცი გახლავსთ ატოცში მცხოვრებელი პავლე მახარობელიძე (იგივე ლეკიშვილი), რომელსაც, ცოლის გარდა, ჰყავდა სამი ვაჟი და სამი ქალი,—ზოგნი მოზრდილნი და ზოგნიც გამოსაზრდელნი. ამდენს წვრილ-შვილებში თითქმის ყველანი მოხუცებულის და ხელ-მოკლე მამის შესანახნი და სარჩენნი არიან; მხოლოდ ერთი მათგანი—ცხრამეტის წლის ვაჟკაცი ბიჭი ტატე ცხადად ირჩეოდა და-ძმაში თავისის ჯან-ღონით, მხნეობით,, სიმარჯვით და ოჯახზედ გულ-შემატკივრობით. ეს ტატე იყო მამის მარჯვენა ხელი, ერთად-ერთი ნუგეში და იმედი გაჭირვებულს ცხოვრებაში და აი ამ იმედმაც რა რიგ უმტყუვნა საცოდავს მამასა:

გასულს ოთხშაბათს, ამ თთვის ოთხს, უბედური ტატე, ჩვეულებისამებრ, სოფელს გარედ იყო წასული სამუშაოდ, ხან ვენახში და ხან სხვაგან, სადაც საჭიროება მოითხოვდა. ნაშუადღევის მეხუთე საათი იქნებოდა, რომ დაბრუნდა სახლში, სადაც დაუხვდა მხოლოდ უბედური დედა. ამ დროს ეს უკანასკნელი გარეთ მეზობლებში გავიდა, სახლში დარჩა მარტო ტატე, რომელმაც მაშინვე ჩამოიღო კედლიდგან დიდი ხანჯალი, დაიმკლავა მაჯები, აიღო როდინის ქვა, ჯერ გალესა კარგად ხანჯალი, შემდეგ გამოისვა ყელში და იქვე სული განუტევა. ამ საზარელს მდგომარეობაში საცოდავი ტატე, როდესაც ის ყელ-გამოჭრილი სისხლის მორევში სცურავდა, ნახა პირველად მეზობლებიდგან დაბრუნებულმა უბედურმა დედამ, და აბა წარმოიდგინეთ, მკითხველო, დედის ცეცხლი და ვაება! უბედურის დედის წივილ-კივილზედ შეიყარა სოფლის ხალხი, ქალი და კაცი, რომლებმაც ნახეს საზარელი სანახავი: ტატეს ყელ-გამოღადრული გვამი, იქვე სისხლის მორევი, როდინის ქვა, რომელზედაც ხანჯალი გაელესნა, და თვით ძალზედ გალესილი ხანჯალი. ეს ამბავი მით უფრო შესანიშნავი და საყურადღებოა, რომ სიკვდილის წინად უბედურის ტატესთვის არც დედ-მამას და არც სხვას ვისმე არა შეუმჩნევიათ-რა, ცხადი და აშკარა მიზეზი ამ უბედურებისა იმის ყოფა-ცხოვრებიდგან არა სჩანს-რა. მართალია, უბედურს ტატეს თავის ტოლბიჭებში, როგორც ამბობენ, რამდენჯერმე ჩამოუგდია ამბავი თავისის მამის წვრილ-შვილობასა და სიღარიბეზედ, მაგრამ სიღარიბე ჩვენს გლეხკაცობაში იმდენად ხშირი და ჩვეულებრივია, რომ არა მგონია ამ მიზეზის გამო გაეწიროს თავი საბრალო ტატეს. არც სულის ავადმყოფობა შეუმჩნევიათ ტატესათვის, არც სიტყვასა და არც საქციელში. ეს უბედური შემთხვევა გუშინვე გამოიძია ადგილობრივმა პოლიციის ბოქაულმა; აგრეთვე კარგი იქნებოდა, ბ-ნს მაზრის ექიმსაც შეემოწმებინა საბრალო ტატეს გვამი.

კოტე დიდებულიძე

◆◆

უცხოეთი

ინგლისი. ინგლისში ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა ლაპარაკი სახელმწიფოს დაცვის თაობაზე. 3 მაისს სმიტმა შეიტანა ქვედა-პალატაში სარჩიელი, რომ ეს საგანი პირველ საგნად იცანით და ყველა სხვა საგნებზე ადრე განიხილეთო. პალატამ ჯერ იუარა სარჩიელი სმიტისა და შემდეგ-კი შეუდგა იმის განხილვას. ეს იყო მხოლოდ, რომ ვიდრე ამ საგანს განიხილავდა, დაამტკიცა მორიგების ქაღალდი ინგლისსა და ავსტრალიის ახალშენთა შორის შეკრული. ამ ქაღალდის ძალით ავსტრალიას მიეცა სესხად 850,000 გირვანქა სტერლინგი იმ გემების ასაგებად და შესაიარაღებლად, რომელიც მოხსენებულია მორიგების ქაღალდში. როცა ამის შემდეგ მთავრობამ სთხოვა პალატას, რომ გადასდეთ 2.600,000 გირვანქა სტერლინგით, ესე იგი 21 მილიონამდე მანათი, იმპერიის დაცვისა და ნავთსადგურების გასამაგრებლად, ამაზე-კი ხანგრძლივი ბაასი და კამათობა ჩამოვარდა. სმიტმა აუხსნა პალატას, რომ მაგ ფულის გადადებისათვის ხარჯისა და გადასახადის მომატება არ დაგვჭირდებაო; ეგ ფული შემოსდის ხაზინას სუეზის არხის აქციებისაგანაო. პალატამ გადასწყვიტა მაინც, რომ მაგ საგნის განხილვა შემდეგისათვის გადაიდოსო.

ოსმალეთი. ოსმალეთს უნდა თურმე აღსრულებაში მოიყვანოს თავისი დიდის ხნის სურვილი. ეს ის სურვილია, რომ ანატოლიის ქვეყნებში იქაურს გუბერნატორებს თანაშემწეებად გერმანელი კაცები დაუნიშნოს და თითოს მისცეს ჯამაგირად წელიწადში 30,000 ფრანკი. ამ თანაშემწეთა მოვალეობა იქმნება ის, რომ უმთავრესად ყურადღება მიაქციონ ქვეყნის ნივთიერს მდგომარეობას და მეტი სარგებლობა აჩვენონ ოსმალეთის ხაზინას დამზოგველობითა და ყაირათობით.

— აი თურმე რაში მდგომარეობდა ის ინციდენტი, რომელიც ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის გატყვრა უცბად ამ ერთის თთვის წინად. საბერძნეთის მთავარ-მინისტრმა ტრიკუპისმა დასწერა ქაღალდი და გადასცა ოსმალეთის ელჩს ათინაში, შენს მთავრობას გაუგზავნეო. ტრიკუპისი სწერდა იმ ქაღალდში, რომ ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენელნი ავად ეკიდებიან მაკედონიაში კასტორიის მთავარ-ეპისკოპოსს კირილესა და სერესის მთავარ-ეპისკოპოსს პეტრიდესსაო. ის ბიაბრუობა და შეურაცხება, რომელსაც მონასტერში აყენებენ საბერძნეთის სამღვდელოებას, დიდად აღელვებს ათინასაო. ამაზე ოსმალეთი ძალიან გამწყრალა და განრისხებით შეუთვლია ათინის ელჩის ფერიდუნ-ბეისათვის:

როგორიც თერგ-დალეულების მახლობელი მამა-პაპა იყო. იქნება საიდგანმე მზემ გადმოგვხედოს და მომავალი თაობა განანათლოს,ააყვაოს და ამ გვარად დაბადოს ჩვენს ქვეყანაში ახალი თერგ-დალეულები; ეს ძლიერ შესაძლებელია და დიდად სანატრელიც არის, მაგრამ ეს თუ ასე არ მოხდა, შენი მტერი ჩვენი საქმე: გაცოცხლდება ჩვენი ყოვლად დასავიწყარი თერგ-დალეულების წინა თაობის ცხოვრება და მშვიდობით მაშინ ჭკუავ, გულო, სულო, ზნევ და პატიოსნებავ! ნეტავი არ იქნება, მალე დაიბადნენ ახალი თერგ-დალეულები! ისინი იპოვნიან ნამდვილს მიზეზს ჩვენის ავადმყოფობისას, უწამლებენ შინაგანის წამლებით ჩვენს მიძინებულს ცხოვრებას და არა გარედგან ტანზედ მალამოს ცხებით, როგორც ეხლა; დიდს საქმეს დიდს სულსა და აზრს ჩაუდგმენ.

რუსეთის განათლებული საზოგადოება თერგ-დალეულებისათვის ნამდვილი დედა იყო და ჩვენი საზოგადოება-კი — დედინაცვალი. დედის აღზრდილმა შვილმა, თერგ-დალეულმა, ენა შეგვინახა, ცოტათი მაინც გაგვიმდიდრა და ქართულს ჭკუას, ზნეობას და მწერლობას ბევრი სიმდიდრე შეჰმატა. მართალია, იმისი ნაწერი თითქმის მხოლოდ მკრთალი მიბაძვაა რუსეთის სხვა-და-სხვა წარჩინებულ მწერლებისა, მაგრამ დიდი უსამართლობა იქნება ჩვენის მხრით, რომ იმის გარდა, რაც იმათ ჩვენს მწერლობას შეჰმატეს, მათგან რაიმე კიდევ მოვითხოვოთ: რაც შეიძლეს, მოგვცეს. ვინ არ იცის, რომ ყოველი ახალი ლიტერატურა მიბაძვით იბადება; თვით რუსეთის მწერლობა თავისს დასაწყისში და დიდხანს შემდეგაც ცალიერი მიბაძვა იყო. კიდევაც დიდი ბარაქალა თერგ-დალეულებს, რომ მიბაძვაშიაც ნამდვილის ქართულის ზნეობისა და ხასიათის ცოდნა გამოიჩინეს და ეს ცოდნა იმდენად დიდია, რომ ბევრს ქართველთაგანს, ვინც-კი დაახლოვებით არა სცნობს რუსულს ან სხვა ენის ლიტერატურას, იმათი შრომა დღევანდლამდის წმინდა ორიგინალურ მწერლობად მიაჩნიათ. ისიც-კი საჭიროა მოვიხსენიოთ, რომ ცოტაოდენი ნაწილი თერგ-დალეულების ნაშრომისა უეჭველად წმინდა ქართულ შრომად უნდა ჩაითვალოს, განსაკუთრებით ლექსები. ერთის სიტყვით, რაც-კი რამ შესანიშნავი მოიპოვება ჩვენს ახლად დაარსებულს ლიტერატურაში, სულ მთლად თერგ-დალეულების თაობას ეკუთვნის და დღევანდელ ახალ თაობისაგან ჩვენს მწერლობას არაფერი სიმდიდრე არ შეუმატნია და ვგონებ ვერ შეჰმატებენ, რადგანაც, უნდა ჭეშმარიტად ვაღიაროთ, სალიტერატურო ასპარეზისათვის იგი სრულებით მომზადებული არ არის.

ლიტერატურა გახლავსთ ისეთი საუნჯე, სადაც ნათლად დაინახვება ჭკუა, ზნეობა, ხასიათი და საუკეთესო გულის წადილი თანამედროვე განათლებულის საზოგადოებისა, ესე იგი ინტელლიგენციისა. როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ჩვენდა საუბედუროდ ამ გვარს საზოგადოებას ვერ შეადგენს ჩვენი ახალი თაობა და ამიტომაც მწერლობაში უნაყოფოა. დიახ, ამაშია ჩვენი უბედურება, რომ ჩვენ ინტელლიგენცია არა გვყავს, თორემ მოგვცა ღვთის წყალობა, რომ მაშინ დედა-აზრიც გვექნებოდა და კრიტიკაც, ეს აუცილებელი და დაუფასებელი ფარ-ხმალი ყოველ ლიტერატურის წარმატებისათვის. მაგრამ საიდგან გვეყოლება კრიტიკოსი, როდესაც ჩვენი ახალი თაობა და საზოგადოდ მთლად ჩვენი განათლებული საზოგადოება რუსულს ლიტერატურასაც დაახლოვებით ვერა სცნობს; ჩვენდა სამარცხვინოდ, ჯერაც თერგ-დალეულებმა უკეთ იციან და უკეთ შეუძლიანთ დააფასონ რუსეთის ლიტერატურა, ვიდრე ჩვენმა ახალმა თაობამ.

საკვირველია, ღმერთმანი, ასე უყურადღებოდ რადა სტოვებს ჩვენი ახალი თაობა რუსულს ჟურნალებსა და წიგნებს; რას ჩააცივდა მარტო ამ ჩვენ ქართულს ღარიბს, ახლად ფეხ-ადგმულს ლიტერატურას, რომელიც კაცს საკმარისად ვერც ჭკუასა და გონებას გაუხსნის, ვერც ზნეობით აღამაღლებს. თითქმის მთელი ევროპა ეხლა რუსულს თხზულებებსა სთარგმნის, კითხულობს და მათზედ ლაპარაკობს, ჩვენ-კი შოთას ლექსებისაგან თავს ბრუ დაგვესხმია და ვითომ-და აქ არა ამბავია! ვინ არ იცის, გარდა ჩვენის ახალის თაობისა, რომ ვისაც თავისის ნორჩ და ღარიბ ლიტერატურის წინ წაწევა უნდა, იმისთვის გული ეწვის და მუდამ იმის შემუშავებაზედ ზრუნავს უეჭველად დაახლოვებით უნდა გაიცნოს რომელისამე ხალხის კარგად შემუშავებული ლიტერატურა, ლიტერატურული გემო შეიძინოს, ყოველ სამწერლო შრომის დაფასება ისწავლოს და მერე ამ გვარად შეიარაღებული დაადგეს თავის სამშობლო ლიტერატურის შემუშავებას. აი, ამ გვარად შეიმუშავეს ყველა ხალხმა თავ-თავიანთი ლიტერატურა. განა ჩვენის ახალ თაობასავით წამ-და-უწუმ მარტო თავისს საკუთარს თხზულებებს თავს დასტრიალებდნენ. ვინ ამბობს, შოთას შრომა ჩვენთვის დიდი საუნჯეა, მაგრამ ახირებული საქმე იქნება, რომ მარტო შოთას ზედ-დაკვდინებით გამოუდგეთ. ამ გვარი საქციელი ქართულ ლიტერატურისათვის ზრუნვა-კი არ არის, იმისი შეკავება, შეჩერება, დაღუპვა და დათნქმა!

მერე, მკითხველო, ჩვენი ახალი თაობა რომ ვარგოდეს, რა დროა, რა მასალის სიმდიდრეა ყოველ გვარ ლიტერატურულ თხზულებისათვის და კრიტიკისათვის ჩვენს მიწყურულს თავად-აზნაურობის ოჯახში და არეულ-დარეულ გლეხ-კაცის ცხოვრებაში! ბევრი რამ კარგი, ჭკვის სასწავლებელი, ჩვენის საზოგადოების დახშულ გონების გასახსნელი დაიწერებოდა, ერთი ჟურნალი რომ გვქონდეს, მაგრამ... მაგრამ რა ჰქნას ჟურნალმა, თუ ერთი პატარა ფარსაგად მომზადებული სამწერლო დასიც არ გვეყოლება? უდასოდ სულ ფუჭია! თორემ ჟურნალებიც ხომ გვქონდა; მართალია, არც ერთს მათგანს, ვითა უდღეოს, ხანგრძლივი სიცოცხლე არა ჰქონია, მაგრამ მაინც კიდევ დრო-დრო გამოშვებით ქართული ჟურნალი თითქმის ყოველთვის არსებობდა. თუმცა, კაცმა სწორედ-კი რომ სთქვას, ჩვენ ნამდვილი ჟურნალი, ერთის რომელისამე განსაკუთრებულ აზრისა და მიმართულებისა, როგორც მოითხოვს ყოველი ფარსაგი სამწერლო ორგანო, თავის დღეში არა გვქონია. დღევანდლამდე ქართული ჟურნალი არის მხოლოდ კრებული სხვა-და-სხვა თხზულებებისა, რომელშიაც არავითარი ურთიერთობა, კავშირი და საზოგადოდ ჟურნალის დედა-აზრი არ მოიპოვება. მარტო ერთი ძალიან სასიამოვნო და საკვეხური ზნე სჭირს ჩვენს ჟურნალ-გაზეთობას; ეს ის გახლავთ, რომ ყოველ გვარს ნაკლულევანებასთან სინიდისი და ნამუსი თავის დღეში არ დაუკარგავს. მაგრამ ეჰ, რა გააწყოს ცარიელმა ზნეობითმა მხარემ, როდესაც კაცის ჭკუას, გულს, გრძნობას და თვითონ სულს იგი არას ეუბნება!

ჩვენს ჟურნალებში ერთი წერილი შემხვდა, რომელიც კარგი გამგონე მკითხველის თავში ბევრს ჩასაფიქრებელს აზრებსა ჰბადავს; მე ვამბობ ბ-ნ გ. მაიაშვილის წერილზედ. თვითონ წერილი ახალსა და შესანიშნავს არას მოგვითხრობს, მაგრამ დიდად საყურადღებო იმიტომ არის, რომ იმისი ავტორი ლაპარაკობს იმისთანა პრინციპიალურს საგნებზედ, რომლების ასე თუ ისე გარდაწყვეტას ჩვენის ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. რადგანაც ეს წერილი აქნობამდე უპასუხოდ დარჩომილია, მე მინდა ვეკისრო ბ-ნის მაიაშვილის წერილის გამო ორიოდე სიტყვა კიდევ მოვახსენო მკითხველს ჩემს შთაბეჭდილებაზედ შესახებ ჩვენის ქვეყნისა. მაგრამ ეს საკულაოდ იყოს.

ნ. გ—ლი

რა ნება გქონდა, რომ ტრიკუპისისაგან ამისთანა ეპისტოლე მიიღე ჩვენდა წარმოსაგზავნადა; ან საბერძნეთს რა ნება აქვს, რომ ოსმალეთის შინაურს საქმეებში ერევა. განა ზემოხსენებულნი მთავარ-ეპისკოპოზნი საბერძნეთის ქვეშევრდომნი არიან? ან თუნდაც რომ საბერძნეთის ქვეშევრდომნი იყვნენ, განა ოსმალეთის მთავრობას ნება არა აქვს თავიდამ მოიშოროს ისინი, თუ მეტადრე ატყობს, რომ ორგულობისა და ღალატობის გზას ადგანან!

— მაკედონიის მდგომარეობაზე უცხოელი გაზეთები სწერენ: გარეგნობით მაკედონია დამშვიდებულია და ვერას შეატყობთ. მაგრამ თუ კარგად დააკვირდით ამ ქვეყნის ცხოვრებას, შეამჩნევთ, რომ დიდი მღელვარება ჰსუფევს. აქ ეჭვი არავისა აქვს, რომ რამდენსამე თთვეს შემდეგ მაკედონიაში დიდი უწესოება ჩამოვარდება და ეს უწესოებანი აღელვებენ მთელს ევროპასა. ყველა სახელმწიფოთა ელჩნი მაკედონიაში გაფაციცებით ყურს უგდებენ, აქა რა მოხდება ამ ქვეყანაშიო. ოსმალონი ისეთის მხნეობით და ყურ-მახვილად იქცევიან, რომ ყველას უკვირს, ასე რამ გაასამასა ეს დაუდევარი, უფსო და უზრუნველი ხალხიო. თვით ოსმალონი ჰკვირობენ: ნუ თუ მაკედონია გაჰბედავს რასმე კიდევ მას შემდეგ, რაც სიფრთხილისათვის ამოდენა ჯარებია იქ შეგროვილიო. მაგრამ ოსმალეთის შიში ახლა სხვა არის. ის დრო წავიდა ოსმალეთისათვის, როცა თავისუფლად შეეძლო დაემშვიდებინა ღელვა თავისის ძლიერებითა. ოსმალეთს ეხლა ასუსტებს და მხნეობას ართმევს ის შიში, რომ ვაი თუ ქრისტიანის სისხლის დაქცევამ უმადურება რამ დაამართოს, ევროპა ყელზე დააყენოსო. ეს არის მიზეზი, რომ კრიტისა და მაკედონიის გუბერნატორებს მიუვიდათ ბრძანება: „არამცა და არამც ჩხუბი არა მოახდინოთ-რა და ერიდეთ ყოველის ღონისძიებით სისხლის-ღვრა არ მოხდესო“.

ავსტრი-ვენგრია. „Times“-ში დაბეჭდილმა ამბავმა, რომ ვითომ თავადი ლობანოვ-როსტოვსკი ვენიდამ უნდა მოიწოდოს თავის მთავრობამ, დიდად გააკვირვა ვენელები და არ იციან, რას მოასწავებს ეს ამბავი, მით უფრო, რომ ჩვენ არ ვიცით, რომელი სხვა ადგილი მიიღო ამ თავადმაო. ავსტრიელები ძალიან მოხარულნი არიან, რომ სალონიკამდე რკინის გზა გაიმართა. ვაჭრობით ნელ-ნელა ხელში ჩავიგდებთ ბოლგარიის ნახევარკუნძულსაო. გაზეთი „Pester Lloyd“-ი ამბობს, რომ ნუ ვენდობით მეტის-მეტად დღევანდელს საპოლიტიკო ყოფას; ეხლანდელი მშვიდობიანობა იმ დაწყნარებულს დროსა ჰგავს, როცა ის-ის არის გრიგალი ამოვარდნას აპირებსო. რადგან მოახლოვებულია მეტად საყურადღებო დრო, ამიტომ ავსტრი-ვენგრია მუდამ მზად უნდა იყოს, რათა უცაბედად არ შეიპყრას რამე საფათერაკო გარემოებამაო.

◆

წვრილი ამბები

პარიჟში ამას წინად დიდის ამბით და დღესასწაულით უკურთხებიათ ახლად აშენებული ბასტილია. ეს შენობა გაუკეთებია სურათ-მოძღვარს კოლიბერს მდიდარის მრეწველის პერრიუსონის ხარჯით. ბასტილიასთან ერთად კვლავ გაუკეთებიათ ერთი ნაწილი «ანტუანის ქუჩისა», ის ნაწილი, რომელიც ბასტილიის უხვევდა. კურთხევას ბასტილიისას დასწრებიან საერო განათლების მინისტრი, სოფელთა და ქალაქთა დეპუტატები და სენატორები. ბასტილიაში გამართულს წვეულებაზედ ფლოკეს წარმოუთქვამს მოკლე სიტყვა. ბასტილიის იმ ადგილას, სადაც უწინ ეზო ყოფილა, პატარა დარბაზი გაუმართავთ სცენიური, რომელზედაც წარმოუდგენიათ გრეტრის ოპერეტი „Le tableau parlant“-ი, პირველად 1769 წ. წარმოდგენილი, და ბალეტი ოპერა „ენეი და ლავინიადგან“. ანტუანის ქუჩის ორივ მხრივ აუშენებიათ ოც-და-ათამდე ერთსართულიანი სახლები. ეს სახლები ერთმანეთში შეერთებულია ზონრებით და ამ ზონრებზე დაკიდულია ზეთის ლამპრები ქუჩის გასანათებლად. ერთის სიტყვით, ის ადგილი, სადაც უწინ ბასტილია იყო, კვლავ ისევე განუახლებიათ და იმ სახისა აუშენებიათ, რა სახისაც 1789 წელსა ყოფილა.

— ინგლისის ჟურნალისტებს ხელისმოწერით ფული შეუკრებიათ, რათა ძეგლი და სახსოვარი აუგონ იმ შვიდს კორრესპონდენტს ინგლისის გაზეთებისას, რომელნიც ეგვიპტესა და სუდანში დაიღუპნენ. ოდონოვანი, თანამშრომელი „Daily News“-ისა წავიდა გიქს ფაშასთან ერთად; ფრანკ ვიზეტელლიც „Graphic“-ის კორრესპონდენტი იყო და ამავე ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა; დაიღუპნენ ბრძოლის ველზედ აგრეთვე „Times“-ის კორრესპონდენტი პოუერი, „Standard“-ისა—კამერონი, „Morning Post“-ისა—ლეჯერ გერბერტი, „Manchester Guardian“-ისა—გორდონი და „ჰავასის სააგენტოსი“—ფრანკ რობერტსი. ამ წამებულთა სახსოვრად წმ. პავლეს სობოროში დადგმული იქნება ბრინჯაოს ქანდაკება, რომელსაც ორ ნახევრამდე ადლი სიმაღლე და ადლ ნახევარი სიგრძე ექნება. ამ ქანდაკებაზედ ცხადად ჩანს თურმე ნაკვთი სამხედრო კორრესპონდენტისა, რომელიც გასურებული ბრძოლისა და ტყვიების ზუზუნის დროს შენიშვნებსა სწერს. აქვე არის იარაღი სამხედრო კორრესპონდენტისა, სუდანელთა საჭურველი, ისტორიის მუზა და ბრიტანია, შავის ძაძით შემოსილი.

— ერთს ნიდერლანდელს მკურნალს, რომელსაც ძალიან ბევრი უმოგზაურნია ზღვით სხვა-და-სხვა მხარეს ქვეყნისას, უამბნია, რომ ამერიკის თვით მეტად გადაკარგულს ადგილებშიაც-კი ხშირად დამელაპარაკებოდნენ ხოლმე ბისმარკზედ, რომლის სახელიც თითქმის ყველასა აქვს გაგონილი და შეტყობილიო. პორტ-საიდში ერთხელ ქვიშით მოფენილს ქუჩაზედ შევხვდი მთელს გროვას ზანგებისას, რომელთაც წინადადება მოგვცეს, რომ თუ საჯდომად ვირები დაგჭირდეთ, ჩვენგან იქირავეთო. ამასთან, რადა თქმა უნდა, ძალიან გვიქებდნენ თავიანთს პირუტყვებს და სხვა-და-სხვა გამოჩენილთა კაცთა სახელებს ეძახდნენ. ერთს სახედარს, მაგალითად, გლადსტონი ერქვა სახელად. ზანგთა შორის იყო ერთი ცამეტის წლის ბიჭი, რომელმაც ყველას სიტყვა გააწყვეტინა და დაიძახა: „ისევ ის გირჩევნიათ, ჩემი სახედარი იქირავოთ, ბისმარკი ჰქვიანო“.

— ამას წინად მდიდარმა და შეძლებულმა მეფაბრიკემ ზინგერმა, რომლის მაშინებიც ჩვენშიაც-კი ძალიან გავრცელებულია და თითქმის ყოველს ოჯახში მოიპოვება, ქალი გაათხოვა და, რასაკვირველია, დიდ-ძალი მზითევიც მისცა. სხვა-და-სხვა საქორწინო საჩუქართა შორის, რომელიც მიუღია ზინგერის ქალს, ჰერცოგ დეკაზის საცოლეს, არის ერთი მეტად ახირებული საჩუქარიც. ეს საჩუქარი გამოუგზავნია იმის მამის ერთს ამხანაგთაგანს ამერიკიდგან. საჩუქარი გახლავსთ ვერცხლის დიდი საკრავის მაშინა, რომელიც ქალის მოსართავ ოთახში უნდა იდგეს. ამ საჩუქართან გამოგზავნილს წერილში სწერია თურმე: ამ საჩუქარმა არასოდეს არ უნდა დაგავიწყოთ და მოგაგონოთ ხოლმე, რომ აწინდელის თქვენის ბედნიერებისათვის მამითქვენის პატიოსანს შრომასა და გარჯილობას უნდა უმადლიდეთ, რომელმაც თავისის დაუღალავის მუშაობით შეაგროვა თქვენ მიერ მზითევში წაღებული მილიონებიო.

— აი რასა სწერს ბულანჟეზედ ლონდონის გაზეთ «Truth»-ის პარიჟელი კორრესპონდენტი-ქალი, ქ-ნი კრავფორდი: „მე ვბაასობდი გენერალს ბულანჟესთან და რა გგონიათ, რის შესახებ? დღეს დილით გავიგონე, რომ ბულანჟეს ჰკიცხავდნენ, ვითომ ახალგაზდავდება და პარიკს იკეთებსო. მაშინვე შევედი პირდაპირ გენერალთან და ვკითხე: მართალს ამბობენ, თუ არა-მეთქი? იმან მიპასუხა: ნებას გაძლევთ, თქვენის ხელითვე დარწმუნდეთ მაგ ხმების სიმართლეს; აბა, თმებზედ ხელი მოუკიდეთო. ვისარგებლე ამ ნება-დართვით, დავბღუჯე კარგად მთელი მუჭა თმებისა და ღონივრად გამოვწიე. აღმოჩნდა, რომ ბულანჟეს საკუთარი თმები ჰქონია და არამც თუ პარიკს არ იკეთებს, არც-კი იღებავს თურმე. ამ მხრივ საფრანგეთს შეუძლიან გული დაარხეინებული და დაიმედებული შეინახოსო“.

◆◆

დეპეშა

13 მაისი

პეტერბურგი. გამოცხადებულია შემდეგი უმაღლესი ბრძანება: გაუქმებულ იქმნა კანცელარია უმაღლესის კარის სამინისტროსი. კანცელარია დარჩება იმავე სამინისტროს კონტროლის ქვეშ, ხოლო სარევიზიო უფლება ამ დაწესებულებათა, საადმინისტრაციო და საშინაო ყველა საქმე უნდა გადაეცეს ჩვენის კაბინეტის უწყებას, რომელსაც მიემატება შემდეგი განყოფილებანი: საადმინისტრაციო, საშინაო, სადგილ-მამულო და საკამერალო. ყოველივე ესე ექვემდებარება უმაღლესის კარის მინისტრს და იქმნება მმართველის ხელ-ქვეშ.

გამოცხადებულია უმაღლესად დამტკიცებული აზრი სახელმწიფო საბჭოსი კანონების მეორე ტომის პირველის ნაწილის მე-375-ს მუხლის შესახებ: სასულიერო წოდების კაცი დროებით გადაყენებულ უნდა იქმნას სამსახურიდგან: 1) როდესაც ის შეპყრობილი იქმნება სისხლის დანაშაულობის დროს; 2) როცა იმას მძიმე სწამებენ ამ გვარს დანაშაულობას და როცა ამისათვის შეიპყრობს საერო სასამართლო; 3) როცა სამართალში იმყოფება დანაშაულობისათვის, რომელიც ჩადენია სამსახურის დროს, იმის წოდებას არ შეეფერება და რომლისათვისაც სამსახურიდგან უნდა გადაყენონ და ღირსება უნდა აჰყარონ; 4) როცა სწამებენ ეგეთს დანაშაულობას და თვითონაც აღიარებს, და 5) როცა სამართალი სდევნის სისხლის დანაშაულობისათვის და ამიტომ მრევლზე შეუძლიან ცუდი გავლენა იქონიოს.

ტაშკენტი. რათა თურქესტანში ჩაის ვაჭრობა განსაკუთრებულის მფარველობის ქვეშ იყოს და უცხო ვაჭრობამ არ დაიჩაგროს, ამისთვის თურქესტანის საბაჟოებში ინდოეთ-ინგლისის ჩაის, რომელიც რუსეთ-ავღანის საზღვრით შემოაქვთ, უნდა დააკრან ბეჭედი. ესეთივე წესია დადგენილი იმ ჩაისათვის, რომელიც აწყვია ქალაქების სავაჭრო საწყობებში.

ვენა. „Pester Lloyd“-ი სცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ავსტრიის ჯარების დაბინავება გალიციაში სრულიად წინააღმდეგი არ არის სამშვიდობო პოლიტიკასაო. გაზეთი «Correspondence de l'Est»-ი ამბობს, რომ გალიციაში ჯარებს შემოდგომამდე არ გაჰგზავნიანო. გრაფ კალნოკის უთქვამს გუშინ ერთის დიპლომატისათვის, რომ დღევანდელი მდგომარეობა უფრო მშვიდობიანია და დღეს არავითარი ისეთი საგანი არ არის, რომელსაც შეეძლოს მშვიდობიანობა დაარღვიოსო.

სიმლა. ტიბეტელები თავს დაესხნენ ინგლისის ჯარებს სიკკიმში. ჯარის უფროსმა დაამარცხა ისინი. ეხლა ჯარის უფროსს ნება-რთვა მიუღია, გაედევნოს ტიბეტლებს და შიგ ტიბეტშიაც-კი მიზდიოს.

14 მაისი

პეტერბურგი. ტავრიდის გუბერნიის ვიცე-გუბერნატორი ბულიუბაში დაინიშნა ტომსკის გუბერნატორად.

პირველ ივნისიდამ მოსკოვის განყოფილება სააზნაურო ბანკისა იმოქმედებს ტვერის გუბერნიაშიაც. ამ დღიდამვე მოისპობა მოქმედება ტვერის ბანკის განყოფილებისა.

სიმბირსკის განყოფილება საგლეხო ბანკისა იმოქმედებს აგრეთვე ნიჟეგოროდის გუბერნიაშიაც.

პარიჟი. სენატმა მიიღო მე-40 მუხლი სამხედრო კანონისა, რომლის მალითაც ჯარის-კაცმა უნდა იმსახუროს ოც-და-ხუთი წელიწადი: სამი წელიწადი მოქმედს ჯარში, $6^{1}/_{2}$ წ.—მოქმედის ჯარის რეზერვში, 6 წ.—სატერიტორიო ჯარში და $9^{1}/_{2}$—სატერიტორიო ჯარის რეზერვში.

საფრანგეთის ბანკი აცხადებს, რომ ყველა ხუთას ფრანკიანი ბილეთები მსვლელობაში აღარ იქნებიანო.

პეტერბურგის ბირჟა, 13 მაისი

	მყიდველნი.	გამყიდველნი.	გაყიდულნი.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	— „	— „	9 55
ტამოჟნის კუპონები . .	— „	— „	$190^{1}/_{2}$
მანათიანი ვერცხლის ფული	— „	— „	1 40
5% პირველის შინაგანის სესხის მოგების ბილეთი	— „	— „	$272^{1}/_{2}$
—მეორისა	— „	— „	$243^{3}/_{4}$
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	— „	— „	— „
ქუთაისის ბანკისა . . .	— „	— „	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— „	— „	— „

განცხადებანი

გამგე კომიტეტი „ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ უმორჩილესადა სთხოვს წესდების ძალით (პარაგრაფი მე-7) ბ-ნთ საპატიო და ნამდვილ წევრთა ამა საზოგადოებისა, რომ მობრძანდნენ წლიურს ჩვეულებრივს საზოგადო კრებაზედ ამა 1888 წლის 16 მაისს, დილის ათს საათზედ, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ბანკის სადგომში.

კრების განსახილველნი საგანნი არიან შემდეგნი:

1) გამგე კომიტეტის მოხსენება შესახებ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისა;

2) მომავალის სამოსწავლო წლის ხარჯი.

შენიშვნა. 1881 წელს გამოცემულის წესდების ძალით, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ბანკის დამფუძნებელნი არიან ნამდვილნი წევრნი ამა საზოგადოებისა და, მაშასადამე, ნება აქვთ მიიღონ მონაწილეობა ზემო მოხსენებულ საგნების განხილვაში. (3—3)

ხუთშაბათს, 19 მაისს,

ბ-ნ ალნიაშვილის ქართული ხორო

ქართულის დრამატიულის დასის არტისტების დახმარებით გაჰმართავს პირველად პირველ ქართულ ფეერიას:

ყარამანი

გადაკეთებული ხალხურის ყარამანიანიდგან სამს მოქმედებად და თერთმეტ სურათად.

სურათი 1. ყაფის დევთაგან ყარამანის მიწაზე ჩამოშვება; ეჟვს ფეხოვანის და ალმასის რქიანი რაშის გამოვარდნა.
სურათი 2. უშანგ შაჰისა და რაჰინდ ინდოეთის მეფის ბრძოლა; ყარამანისა და სარვიხურამანის ერთად შეყრა და გაარშიყება.
სურათი 3. ყარამანისა და სარვიხურამანის შეუღლება.
სურათი 4. ყარამანისაგან ყარუნ ხელმწიფ ს ჯადოთ დარღვევა და შამხასარ დევის მოკვლა.
სურათი 5. ბრძოლა ბალიირანის მეფისა, შაჰპალი ფერიისაა, აქვალ დევის ლაშქართან.
სურათი 6. შველა ყარამანისაგან ზორაბ ხელმწიფის შვილისა და ანყაფ უზ დევის დამორჩილება.
სურათი 7. მისვლა ყამარანისა თეთრის დევის სასახლეში და თეთრის დევის მოკვლა.
სურათი 8. ბრძოლა ყარამანისა ზღვათა მეფესთან და ყარამალუზ დედოფლის განთავისუფლება.
სურათი 9. ჯადოთაგან უშანგ-შაჰის მოჯადოვება.
სურ. 10. ბრძოლა უშანგ-შაჰისა ოჰყალი ჯადოსთან და 30 მოწინააღმდეგე მეფეებთან; ყარამანის მოშველება.
სურ. 11. უშანგ - შაჰის მიცვალება და ანდერძი.

ამ ფეერრისათვის განგებ დამზადებულია ახალი ტანისამოსები, ზოგიერთი ახალი დეკორაციები და ყოველის სურათისათვის ახალი მუსიკა ბ-ნ ბალანჩივაძისა,

ქართულს ხოროს ექნება 12 სხვა-და-სხვა სასიმღერო ნომერი.

ორკესტრი დაუკრავს ბ-ნის ბალანჩივაძის პოპურრს და სრულიად ახალს „ფანტაზიას“ მისსავე.

მონაწილეობას მიიღებს 180 კაცი.

დადგმა ფეერისა დაჯდება 1,000 მან.

(4—2)

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა, 1881 წლის 17 თებერვალს დამტკიცებულ ბანკის წესდების მე-15 პარაგრაფის ძალით ამით აცხადებს რომ, 16 ივნისს 1888 წ., დილის 12 საათზე, ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, არწრუნისეულს სახლებში; საჯაროდ გაისყიდება ვაჭრობის განუმეორებლად ქვემოხსენებულის პირების უძრავი ქონებანი, ბანკის წესდებულებით დადგენილთა გადასახდელების შეუტანლობისათვის 13, 14, 15, 17, 18 და 19 ბანკის წესდების §§-მებრ.

ა) სესხნი გაცემულნი არა ურთიერთობრივის თავდებობით.

I ქალაქის მამულები

მირიანოვისა, მარიამ იაკობის სული: ერთი ერთ - სართულიანი